სქოლიო-ბიბლიოგრაფიის მითითების წესი

<u>სქოლიო</u>

ნაშრომში სქოლიო მიუთითეთ ქვედა ხაზს ქვევით, სქოლიოს დანომვრა მოაქციეთ წერტილის გარეთ. მაგალითად ⇒ **ქართული უნივერსიტეტი დაარსდა 2008 წელს.**[1]

წყაროს განმეორებით გამოყენების შემთხვევაში არ არის აუცილებელი წყაროს სრულად მითითება, შეგიძლიათ მოუთითოთ მოკლედ. მაგალითად: ⇒ ერთ ავტორიანი წიგნის შემთხვევაში წყაროს პირველად გამოყენების დროს დაწერეთ **ავტორი. წიგნის დასახელება. გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, წელი. გვერდი (გამომცემლობა, გამომცელობის ადგილი და წელი ფრჩხილებში ჩასვით)**. ხოლო შემდეგი გამოყენების დროს მოკლედ დაწერეთ **წიგნის ავტორის სახელის ინიციალი და გვარი, წიგნის დასახელება გვერდი** (სხვა მაგალითები დაწვრილებით შეგიძლიათ იხილოთ ,,სქოლიო-ბიბლიოგრაფიის მითითების წესში'').

<u>**გამოყენებული ლიტერატურა:**</u>

ნაშრომს ბოლოში თან დაურთეთ გამოყენებული ლიტერატურა. პირველ რიგში ანბანის მიხედვით დაწერეთ ქართული ლიტერატურა, შემდეგ ინგლისური, რუსული და ა.შ.

სქოლიო-ბიბლიოგრაფიის გამოყენების დროს იხელმძღვანელეთ ქვემოთ დაწერილი ,,სქოლიო-ბიბლიოგრაფიის მითითების წესის'' მიხედვით. **ამ წესის დაუცველობის შემთხვევაში ავტორს ნაშრომი დაუბრუნდება შესასწორებლად**.

უფრო დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ

1. წიგნი

ა. ერთი ავტორი: ავტორი. წიგნის დასახელება (დახრილად ნაწერი, ე.წ. იტალიკი). გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, წელი (გამომცემლობა, გამოცემის ადგილი და წელი ფრჩხილებში ჩასვით). გვერდი.

მაგ: **სერგო ვარდოსანიძე.** *სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდე (1861-1921),* (გამომცემლობა ნათლისმცემელი, თბილისი, 2014), გვ. 17 (რამდენიმე გვერდის შემთხვევაში: გვ. 17-21.)

მოკლედ:

---

[1] **სერგო ვარდოსანიძე.** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდე (1861-1921), (გამომცემლობა ნათლისმცემელი, თბილისი, 2014), გვ. 17

ავტორის სახელის ინიციალი და გვარი, წიგნის დასახელება (დახრილად ნაწერი, ე.წ. იტალიკი, გრძელი სათაურის შემთხვევაში დასაშვებია სათაურის მოკლედ მითითება), გვერდი.
მაგ: **ს. ვარდოსანიძე.** *კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე...* გვ. 17.

ბ. ორზე ავტორი: ავტორი 1 და ავტორი 2. (დახრილად ნაწერი, ე.წ. იტალიკი). გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, წელი (გამომცემლობა, გამოცემის ადგილი და წელი ფრჩხილებში ჩასვით). გვერდი.
მაგ: **დიმიტრი ნადირაშვილი, თეა გოგოტიშვილი.** *გეშტალტთერაპია,* (მწიგნობარის სტამბა, თბილისი, 2018). გვ. 23-25.
მოკლედ:
ავტორების სახელების ინიციალები და გვარები. წიგნის დასახელება. (გრძელი სათაურის შემთხვევაში დასაშვებია სათაურის მოკლედ მითითება), გვერდი.
მაგ: **დ. ნადირაშვილი, თ. გოგოტიშვილი.** *გეშტალტთერაპია.* გვ. 23-25.

გ. ორი და მეტი ავტორი : ავტორი 1, ავტორი 2 და ა.შ. წიგნის დასახელება. (დახრილად ნაწერი, ე.წ. იტალიკი). გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, წელი (გამომცემლობა, გამოცემის ადგილი და წელი ფრჩხილებში ჩასვით). გვერდი.
მაგ: **ჰამლეტ მელაძე, მარინე მენთეშაშვილი, ნუგზარ სხრიტლაძე.** *ფუნქციათა ინტერპოლება და აპროქსიმაცია, რიცხვითი ინტეგრირება.* (გამომცემლობა თბილისის უნივერსიტეტი, თბილისი, 2003). გვ. 21.
მოკლედ:
პირველი ავტორის გვარი, სამი წერტილი. წიგნის დასახელება (დახრილად ნაწერი, ე.წ. იტალიკი, გრძელი სათაურის შემთხვევაში დასაშვებია სათაურის მოკლედ მითითება), გვერდი.
მაგ: **მელაძე...** *ფუნქციათა ინტერპოლება და აპროქსიმაცია...* გვ. 21.

დ. წიგნში ერთ-ერთი თავის ან ერთ-ერთი ნაწილის ავტორობა: თავის (ან ნაწილის) ავტორი, თავის დასახელება, წიგნის სათაური დახრილად, გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, წელი და გვერდი.

ე. უცხო ენაზე გამოქვეყნებული წიგნის, სტატიის და ა.შ. შემდეგ სათაურის თარგმნა: თუ ისეთ ენაზე დაწერილ წყაროს იყენებ, რომელიც ფართო მასებისთვის გაუგებარი იქნება, სასურველია მისი ქართული თარგმანის მიწერა ბიბლიოგრაფიაში (სქოლიოში არ არის საჭირო). უცხო ენაზე დაწერილი სათაურის გვერდით კუთხოვან ბრჭყალებში ჩაწერეთ მისი ქართული თარგმანი.
მაგ. **宮地正人**. *国際政治下の近代日本.*（山川出版社、東京、1987 年）, 35p. [მასატო მიაიჩი. თანამედროვე პერიოდის იაპონია და საერთაშორისო პოლიტიკა, (იამაკავას გამომცემლობა, ტოკიო, 1987)]

2. ელექტრონული წიგნი

ა. ერთი ავტორი: ავტორი. წიგნის დასახელება (დახრილად ნაწერი ე.წ. იტალიკი). გამომცემლობა, გამოცემის ადგილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), წელი (გამომცემლობა, გამოცემის ადგილი და წელი ფრჩხილებში ჩასვით). გვერდი. ლინკი.

მაგ: **სერგო ვარდოსანიძე.** *თბილისის სასულიერო სემინარია და აკადემია.* (თბილისი, 2009), გვ. 17. https://sangu.ge/templates/Gemini/images/academia.pdf

მოკლედ:

ავტორის სახელის ინიციალი და გვარი, წიგნის დასახელება (დახრილად ნაწერი ე.წ. იტალიკი, გრძელი სათაურის შემთხვევაში დასაშვებია სათაურის მოკლედ მითითება), გვერდი.

მაგ: **ს. ვარდოსანიძე.** *თბილისის სასულიერო სემინარია და აკადემია.* გვ. 17.

ბ. ორი ავტორი: ავტორი 1 და ავტორი 2. წიგნის დასახელება (დახრილად ნაწერი ე.წ. იტალიკი). გამომცემლობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოცემის ადგილი, წელი (გამომცემლობა, გამოცემის ადგილი და წელი ფრჩხილებში ჩასვით). გვერდი. ლინკი.

მაგ: **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული.** *საქართველო-რუსეთის ურთიერთობები (1801-1921).* (თბილისი, 2009) , გვ. 19. https://sangu.ge/images/vguruli/17geo.pdf

მოკლედ:

ავტორების სახელების ინიციალები და გვარები. წიგნის დასახელება. (დახრილად ნაწერი ე.წ. იტალიკი, გრძელი სათაურის შემთხვევაში დასაშვებია სათაურის მოკლედ მითითება), გვერდი.

მაგ: **მ. ვაჩნაძე, ვ. გურული.** *საქართველო-რუსეთის ურთიერთობები (1801-1921).* გვ. 19.

3. სტატია ჟურნალში

ავტორი. სტატიის დასახელება. ჟურნალის დასახელება (დახრილად ნაწერი ე.წ. იტალიკი), ტომი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ნომერი, წელი გვერდი.

მაგ: **ტარიელ ფუტკარაძე.** ქართული ენა, როგორც თურქეთის რესპუბლიკის კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი: პრობლემები, პერსპექტივები. *ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები*, N4, 2015, გვ. 8.

მოკლედ:

ავტორის სახელის ინიციალი და გვარი, სტატიის დასახელება, გვერდი.

მაგ: **ტ. ფუტკარაძე.** ქართული ენა, როგორც თურქეთის რესპუბლიკის... გვ. 8.

4. სტატია ელექტრონულ ჟურნალში

ავტორი. სტატიის დასახელება. ჟურნალის დასახელება (დახრილად ნაწერი ე.წ. იტალიკი), ტომი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ნომერი, წელი გვერდი. ლინკი

მაგ: **ლევან ქისტაური.** საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევები. *ქართული უნივერსიტეტის შრომები,* N1, 2015, გვ. 274. https://sangu.ge/images/2015/shrmnbbn_1.pdf

მოკლედ:

ავტორის სახელის ინიციალი და გვარი, სტატიის დასახელება, გვერდი.

მაგ: **ლ. ქისტაური.** საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევები.გვ.274.

5. დისერტაცია;

ავტორი, სადისერტაციო თემის დასახელება (დახრილად ნაწერი ე.წ. იტალიკი), დისერტაციის ტიპი (სადოქტორი ა.შ.). მითითება იმ უნივერსიტეტის რომელშიც დაცვა მოხდა, წელი, გვერდი (არსებობის შემთხვევაში ლინკი) .

მაგ: **ლევან ჯიქია**. *1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში.* სადოქტორო ნაშრომი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. 2012. გვ. 23. http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/ljiqia.pdf

მოკლედ:

ავტორის სახელის ინიციალი და გვარი. სადისერტაციო თემის დასახელება (დახრილად ნაწერი ე.წ. იტალიკი). გვერდი.

მაგ: **ლ. ჯიქია**. *1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში.* გვ. 23.

6. ვებ-გვერდი;

ავტორი. სათაური (დახრილი ნაწერი ე.წ. იტალიკი). ბოლო განახლების დრო. ლინკი.

მაგ: **ნინო თარხნიშვილი**. *ნატო და საქართველო შავ ზღვაზე.* რადიო თავისუფლება 25/03/2019.
https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%95-%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94/29841161.html

მოკლედ:

ავტორის სახელის ინიციალი და გვარი. სტატიის სათაური (დახრილად ნაწერი ე.წ. იტალიკი, გრძელი სათაურის შემთხვევაში დასაშვებია სათაურის მოკლედ მითითება).

მაგ: **ნ. თარხნიშვილი.** ნატო და საქართველო შავ ზღვაზე.

7. სტატია სამეცნიერო კონფერენციის სრულ მოხსენებათა კრებულებში

მოხსენების ავტორი. მოხსენების დასახელება (დახრილად ნაწერი ე.წ. იტალიკი, გრძელი სათაურის შემთხვევაში დასაშვებია სათაურის მოკლედ მითითება). კონფერენციის მოხსენებათა კრებულის დასახელება, კონფერენციის გამართვის ადგილი, წელი, თვე და რიცხვი. გვერდი.

მაგ: **ივანე წერეთელი.** *ფარდობითი ტრიპოლოგიური სასრულობა.* ქართული უნივერსიტეტის პირველი სამეცნიერო კონფერენცია. საქართველოს საპატრიარქოს

წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, 21/10/2015, გვ. 126.

მოკლედ:

ავტორის სახელის ინიციალი და გვარი. მოხსენების დასახელება. გვერდი.

მაგ: **ი. წერეთელი.** *ფარდობითი ტრიპოლოგიური სასრულობა.* ისტორია. გვ. 126.

8. სტატია ჟურნალში ან გაზეთში

სტატიის ავტორი. სტატიის სათაური. ჟურნალის ან გაზეთის დასახელება (დახრილად ნაწერი ე.წ. იტალიკი), ნომერი, თარიღი, გვერდი. (არსებობის შემთხვევაში ლინკი მიუთითეთ).

მაგ: **შაქრო ჯავახიშვილი.** პროვინციის ცხოვრებიდან. *ჟურნალი „მოამბე" N2*, 1905, გვ. 29.

მოკლედ:

ავტორის სახელის ინიციალი და გვარი, სტატიის დასახელება, გვერდი.

მაგ: **შ. ჯავახიშვილი.** პროვინციის ცხოვრებიდან. გვ. 29.

პ.ს. უავტორო სტატიის შემთხვევაში ავტორის გარეშე დაწერეთ ზემოთ აღნიშნული წესის მიხედვით.

9. არქივი

არქივის დასახელება, ფონდის ნომერი, აღწერის ნომერი, საქმის ნომერი, გვერდი

მაგ: საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 14, აღწერა 1, საქმე 75, ფურცლები 25-26.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინიტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 73, ფურცლები 4-11.